დანართი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი

I თავი
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო
ეს წესი არეგულირებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა (შემდგომში - ექსპერტთა) შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხებს.

მუხლი 2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის მიზანი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის (შემდგომში - წესი) მიზნებია:
ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა (შემდგომში - ავტორიზაცია) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში - აკრედიტაცია) პროცესის განხორციელებისას თანმიმდევრული და სრულყოფილი შეფასების უზრუნველყოფა და ექსპერტთა საქმიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
ბ) განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების პროცესის გაუმჯობესება სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევისთვის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და პროცედურის ჩამოყალიბებით;
გ) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების“ შესაბამისად, ობიექტური, გამჭვირვალე და განვითარებაზე ორიენტირებული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების ხელშეწყობა;
დ) ექსპერტთა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვის ხელშეწყობა.

II თავი
ექსპერტთა შერჩევისა და ექსპერტთა კორპუსის შექმნის წესი

მუხლი 3. ექსპერტთა კორპუსი
1. ექსპერტი არ შეიძლება იყოს ცენტრის თანამშრომელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ცენტრში დასაქმებულია 3 თვეზე ნაკლები ვადით, კონკრეტული მოცულობის საექსპერტო სამუშაოს შესასრულებლად.
2. საქართველოს მოქალაქეობის მქონე ექსპერტი, რომელიც იმავდროულად არის საჯარო მოხელე, შესაძლებელია მონაწილეობდეს მხოლოდ იმ ადმინისტრაციულ წარმოებაში, რომლის ფარგლებშიც ავტორიზაციის ან აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების საგანს წარმოადგენს რეგულირებადი სამედიცინო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.

3. ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში წარმოდგენილნი უნდა იყვნენ გამოცდილების ფართო სპექტრის მქონე ექსპერტები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის, სახისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.
4. ექსპერტთა კორპუსი იყოფა ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტებად.
5. ექსპერტთა კორპუსი მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 4. ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევის პროცედურა

1. ექსპერტების შერჩევისა და ექსპერტთა კორპუსის შექმნის ან განახლების მიზნით, ცენტრი ახორციელებს განცხადებების მიღებას, როგორც კონკურსის, ასევე ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - კონკურსის გამოცხადების გარეშე და ადგენს მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებასა და შერჩევას.
2. კონკურსის გამოცხადების გზით, ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) კონკურსის გამოცხადება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
ბ) განაცხადის წარდგენა, რომელსაც უნდა დაერთოს კვალიფიკაციის/განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (გარდა საერთაშორისო ექსპერტთა შერჩევისას), ავტობიოგრაფია (CV) ორი რეკომენდატორის მითითებით;
გ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევა შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით;
დ) ექსპერტთა შერჩევის მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაბამისი კომისიის შექმნა;
ე) ტრენინგების ჩატარება (სავალდებულო არ არის საერთაშორისო ექსპერტთა შერჩევისას);
ვ) გასაუბრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილ კომისიასთან (სავალდებულო არ არის საერთაშორისო ექსპერტთა შერჩევისას);
ზ) კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატების შესახებ რეკომენდაციის წარდგენა ცენტრის დირექტორისთვის;
თ) ცენტრის დირექტორთან შეთანხმებული კანდიდატების შეყვანა ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. კონკურსის გამოცხადების გზით, აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა შერჩევის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) კონკურსის გამოცხადება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
ბ) განაცხადის წარდგენა, რომელსაც უნდა დაერთოს კვალიფიკაციის/ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, ავტობიოგრაფია (CV) ორი რეკომენდატორის მითითებით;
გ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევა შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით;
დ) ექსპერტთა შერჩევის მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაბამისი კომისიის შექმნა;
ე) ტრენინგების ჩატარება;
ვ) ტესტირება;
ზ) გასაუბრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით შექმნილ კომისიასთან;
თ) კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატების შესახებ რეკომენდაციის წარდგენა ცენტრის დირექტორისთვის;
ი) ცენტრის დირექტორთან შეთანხმებული კანდიდატების შეყვანა ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საერთაშორისო ექსპერტების მოძიების მიზნით, ცენტრი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის უცხოურ სააგენტოებთან და უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან /ასოციაციებთან (მაგალითად: უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია (ENQA), სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია (WFME), ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA); ევროპის

სტუდენტთა გაერთიანება (ESU), ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (CEENQA) და სხვა).

5. საავტორიზაციო და სააკრედიტაციო ადმინისტრაციულ წარმოებებზე კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვის მიზნით, შესაფასებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სახისა და სპეფიციკის, ექსპერტთა კორპუსში არსებული ექსპერტების სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებისა და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით, ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევის პროცედურა შესაძლებელია განხორციელდეს კონკურსის გამოცხადების გარეშე. ამ შემთხვევაში, ექსპერტთა შერჩევის მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შესარჩევი მუდმივმოქმედი კომისია (შემდგომში - მუდმივმოქმედი კომისია) და კომისიის საქმიანობის წესი.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მუდმივმოქმედი კომისიის მიერ ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ექსპერტის კანდიდატის მოძიება;

ბ) ავტობიოგრაფიის (CV) წარმოდგენა ორი რეკომენდატორის მითითებით;

გ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევა შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით;

დ) გასაუბრება მუდმივმოქმედ კომისიასთან (სავალდებულო არ არის საერთაშორისო ექსპერტთა შერჩევისას);

ე) მუდმივმოქმედი კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატების შესახებ რეკომენდაციის წარდგენა ცენტრის დირექტორისთვის;

ვ) ცენტრის დირექტორთან შეთანხმებული კანდიდატების შეყვანა ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. ექსპერტთა კორპუსის წევრების კონკურსის გზით შერჩევის პროცედურა შესაძლებელია ითვალისწინებდეს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისგან დამატებით ეტაპს/ეტაპებს.

8. ექსპერტთა კორპუსის წევრების კონკურსის გზით შერჩევისას, კონკურსში მონაწილე კანდიდატი უფლებამოსილია ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსის ეტაპზე მიღებული უარყოფითი შეფასება წერილობითი ფორმით გაასაჩივროს ცენტრში, აღნიშნული კონკურსის საბოლოო შედეგებზე დაყრდნობით მისთვის ინდივიდუალური შედეგის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

9. ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია, რომელიც განიხილავს კონკრეტული კონკურსის ფარგლებში მიღებულ უარყოფით შეფასებასთან დაკავშირებულ საჩივრებს.

10. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან, რომელთაგან ერთ-ერთი, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, განისაზღვრება აღნიშნული კომისიის თავმჯდომარედ. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის საქმიანობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

11. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია თითოეულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი ცენტრში რეგისტრაციის მომენტიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

12. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია, წარმოდგენილი საჩივრისა და კონკრეტული კონკურსის ფარგლებში არსებული მასალების გათვალისწინებით, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) საჩივრის დაკმაყოფილებისა და კანდიდატისთვის დადებითი შეფასების მინიჭების თაობაზე;

ბ) შესაბამისი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების გაზიარებისა და უარყოფითი შეფასების ძალაში დატოვების თაობაზე.

13. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი ფორმით ეცნობება ცენტრის დირექტორს და კანდიდატს.

14. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის მიერ ამ მუხლის მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კანდიდატისთვის შესაბამისი კონკურსის პროცესით გათვალისწინებულ ეტაპებთან დაკავშირებული შესაბამისი აქტივობები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდულური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. ავტორიზაციის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ამასთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი ნაწილის შესაფასებლად ექსპერტობის კანდიდატს უნდა გააჩნდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან იყოს დოქტორანტი და ჰქონდეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა და განვითარებაში მონაწილეობის გამოცდილება და/ან კვლევის განხორციელებისა და/ან კვლევითი პროექტების მართვის გამოცდილება. აღნიშნული მოთხოვნა არ ეხება დამსაქმებლის და სტუდენტის კვოტით განსაზღვრულ ექსპერტობის კანდიდატს/ექსპერტს;

ბ) ავტორიზაციის მინიმუმ ერთი სტანდარტის შესაფასებლად შესაბამისი სპეციფიკის ცოდნა და გამოცდილება;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა, რაც დასტურდება შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით;

დ) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)“ 2015 წლის დოკუმენტის ცოდნა, ბოლონიის პროცესის შესახებ ზოგადი ცოდნა და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
- „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;
- შესაბამისი სფეროს დარგობრივი მახასიათებლები;

ე) კომპიუტერული უნარების ქონა;

ვ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

ზ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;

თ) ინგლისური ენის ცოდნა;

ი) ცენტრის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. აკრედიტაციის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან დოქტორანტი, რომელსაც აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლებისა ან/და სამეცნიერო-კვლევის გამოცდილება;

ბ) დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამის სფეროში მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა და განვითარების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება;

დ) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)“ 2015 წლის დოკუმენტის ცოდნა, ბოლონიის პროცესის შესახებ ზოგადი ცოდნა და განათლების სფეროსთან დაკავშირებული შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;

- „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
- „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;
- „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;
- შესაბამისი სფეროს დარგობრივი მახასიათებლები;

ე) კომპიუტერული უნარების ქონა;
ვ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
ზ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
თ) სასურველია ინგლისური ენის ცოდნა;
ი) ცენტრის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) არანაკლებ სამ წლიანი სამუშაო გამოცდილება უმაღლესი განათლების სფეროში;

გ) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)“ 2015 წლის დოკუმენტისა და განათლების სფეროსთან დაკავშირებული შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;
- „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;
- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება;

დ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
ე) პრობლემების გადაწყვეტის უნარი;
ვ) ინფორმაციის ანალიზის უნარი;
ზ) მონაცემების შეგროვების, შეფასებისა და დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
თ) სხვების საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღების უნარი;
ი) საკუთარი სწავლების დამოუკიდებლად წარმართვის უნარი;
კ) კომპიუტერული უნარების ქონა;
ლ) ინგლისური ენის ცოდნა;
მ) ცენტრის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრ დამსაქმებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით

ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამის სფეროში მუშაობის გამორჩეული გამოცდილება;
ბ) სფეროში საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის გამოცდილება;
გ) ექსპერტთა კორპუსში შეყვანის დროისთვის საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულის სტატუსის ქონა;
დ) ინგლისური ენის ცოდნა (აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი დამსაქმებელი ექსპერტის შემთხვევაში - სასურველია ინგლისური ენის ცოდნა);
ე) დამსაქმებელ ექსპერტს/ექსპერტობის კანდიდატს სასურველია ჰქონდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება;
ვ) ცენტრის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ზ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
თ) პრობლემების გადაწყვეტის უნარი;
ი) ინფორმაციის ანალიზის უნარი;
კ) მონაცემების შეგროვების, შეფასებისა და დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
ლ) სხვების საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღების უნარი;
მ) საკუთარი სწავლების დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.

5. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრ საერთაშორისო ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
ა) ხარისხის უზრუნველყოფის უცხოურ სააგენტოებთან ან/და უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან /ასოციაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება ინსტიტუციური/პროგრამული შეფასების ექსპერტის რანგში, რაც შესაძლებელია დადასტურდეს ცენტრის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის უცხოური სააგენტოებისთვის, უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის/ასოციაციებისთვის შესაბამისი მიმართვისა და რეკომენდაციის მიღების საფუძველზე;
ბ) ინგლისური ენის ცოდნა;
გ) ცენტრის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი სტუდენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
ა) სტუდენტის აქტიური სტატუსის ქონა ექსპერტთა კორპუსში შეყვანის ეტაპზე;
ბ) მაღალი აკადემიური მოსწრება, სტუდენტურ და საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობა;
გ) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)“ 2015 წლის დოკუმენტისა და განათლების სფეროსთან დაკავშირებული შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
- „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;

დ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
ე) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
ვ) ინგლისური ენის ცოდნა;
ზ) ცენტრის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტით დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 6. ექსპერტთა კორპუსის წევრის ინტერესთა კონფლიქტი

1. ექსპერტთა კორპუსის წევრის ინტერესთა კონფლიქტი არის ექსპერტის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირება ამ წესის მე-2 მუხლით განსაზღვრულ მიზნებთან. ინტერესთა კონფლიქტად განიხილება, ასევე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოებების არსებობა.
2. ექსპერტთა კორპუსის წევრმა ავტორიზაციის/აკრედიტაციის შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დასრულებიდან 1 წლის მანძილზე არ უნდა დაამყაროს შრომითი ურთიერთობა შესაბამის იურიდიულ პირთან. ასევე, ექსპერტთა კორპუსის წევრს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესის დაწყებამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში არ უნდა ჰქონდეს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება შესაბამის იურიდიულ პირთან.
3. ექსპერტი არ არის უფლებამოსილი ცენტრის თანხმობის გარეშე ცენტრის სახელით გასწიოს კონსულტაცია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით.
4. ექსპერტი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტამდე ან/და ვიზიტის განმავლობაში, დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის საჭიროების შემთხვევაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან კომუნიკაციას ახდენს მხოლოდ ცენტრის წარმომადგენლის მეშვეობით.

III თავი
ექსპერტთა საქმიანობის წესი

მუხლი 7. ექსპერტის მონაწილეობა დამკვირვებლის სტატუსით

1. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი (გარდა საერთაშორისო ექსპერტისა), სტუდენტი ექსპერტი და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტი, რომელსაც მონაწილეობა არა აქვს მიღებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში, ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობდეს, როგორც დამკვირვებელი.
2. დამკვირვებლის სტატუსით მონაწილე ექსპერტი არ იღებს მონაწილეობას შეფასების პროცესის დაგეგმვაში, ინტერვიუირებასა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებაში.
3. დამკვირვებლის სტატუსი მონაწილე ექსპერტზე ვრცელდება ექსპერტთა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმები.

მუხლი 8 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და წევრთა ფუნქციები

1. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ფორმირება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით" დადგენილი მოთხოვნების დაცვით.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები – სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი და სტუდენტი, საერთაშორისო ექსპერტი, ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ დამსაქმებლები და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები.
3. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, ცენტრის დირექტორის ბრძანებით, ეკისრება ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეობა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საავტორიზაციო პროცესის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფს თავმჯდომარეობს საერთაშორისო ექსპერტი. ექსპერტთა

ჯგუფის შემადგენლობა, ექსპერტთა რაოდენობა და დაწესებულებაში ვიზიტის ხანგრძლივობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, საგანმანათლებლო დაწესებულების სახის, სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით.

4. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი სტუდენტის ძირითადი პასუხისმგებლობაა სტუდენტის უფლებებთან, ინტერესებთან, სტუდენტურ სერვისებთან და სტუდენტის მხარდამჭერ მექანიზმებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და შეფასება.

5.ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი დამსაქმებლის ძირითადი პასუხისმგებლობაა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და პოტენციურ დამსაქმებლებთან/ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობის საკითხების, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების შესწავლა და შეფასება.

6. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საავტორიზაციო განაცხადში მითითებულია, რომ ის ახორციელებს, ან აპირებს განახორციელოს რეგულირებად სამედიცინო აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში წარმოდგენილნი უნდა იყვნენ ფუნდამენტური ბიოსამედიცინო მეცნიერებების და/ან კლინიკური სწავლების პროფილის ექსპერტები. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფში თანათავმჯდომარის სტატუსით შედის შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე საერთაშორისო ექსპერტი.

7. მონიტორინგის გზით, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, მონიტორინგის ტიპი და ექსპერტთა ჯგუფის წევრების/თავმჯდომარის მიერ შესასრულებელი სამუშაო (გარდა ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა), ასევე ამ სამუშაოსათვის ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალური სპეციფიკის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. ექსპერტთა ჯგუფის თითოეული წევრის ფუნქციაა ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის საავტორიზაციო ან მონიტორინგის/ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის ადმინისტრაციული წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასების პირველ ეტაპზე, შეისწავლოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია;

ბ) დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე თითოეულ სტანდარტთან მიმართებით, სტანდარტების რუკის ფორმატში ჩამოაყალიბოს შენიშვნები, მოსაზრებები და კითხვები, რომელთა გარკვევაც სურს ვიზიტის ფარგლებში ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან დამატებით გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე და შეთანხმებულ ვადებში გაუგზავნოს ის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს;

გ) შესწავლილი დოკუმენტაციის განხილვის მიზნით, მონაწილეობა მიიღოს ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრაში;

დ) ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს ვიზიტის დღის წესრიგის შედგენაში;

ე) ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, შეისწავლოს ყველა საკითხი დასკვნის შესადგენად, მათ შორის, ჩაატაროს დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუირება, საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია, მოახდინოს ვიზუალური დათვალიერება და განახორციელოს დღის წესრიგით გაუთვალისწინებელი აქტივობები;

ვ) მოახდინოს თვითშეფასების ანგარიშში/სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში (სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით) ასახული ინფორმაციის შესაბამისობის გადამოწმება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობასთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით;

ზ) ვიზიტის/დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ მონაწილეობა მიიღოს შეფასების შედეგების განხილვაში, შეჯამებასა და დასკვნის მომზადებაში;

თ) მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი საკითხის განხილვაში ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, რაც აისახება სხდომის ოქმში.

9. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ფუნქციაა ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის საავტორიზაციო ან მონიტორინგის/ სტუდენტთა ზღვრული ადგილების რაოდენობის გაზრდის ადმინისტრაციული წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით:

ა) უხელმძღვანელოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასების პროცესს;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოკუმენტაციის შესწავლისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, უზრუნველყოს ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების განაწილება ექსპერტთა ჯგუფის წევრების კომპეტენციის გათვალისწინებით;

გ) მოახდინოს ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ წარმოდგენილი სტანდარტების რუკის შეჯამება და ამის გათვალისწინებით შეიმუშავოს ვიზიტის დღის წესრიგი/აცნობოს ცენტრს დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის საჭიროების შესახებ;

დ) ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში, შეათანხმოს ვიზიტის დღის წესრიგი ცენტრთან და ვიზიტამდე დაგეგმილ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრისას ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან დეტალურად განიხილოს ვიზიტის ფარგლებში განსახილველი და გამოსაკვლევი საკითხები;

ე) ვიზიტისას უხელმძღვანელოს ინტერვიუირების პროცესსა და შეხვედრებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან;

ვ) ვიზიტის ფარგლებში, ყველა მნიშვნელოვანი საკითხის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, ვიზიტის ყოველი დღე შეაჯამოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან;

ზ) ვიზიტის ბოლოს გააკეთოს შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების პრეზენტაცია დაწესებულების წინაშე;

თ) დადგენილ ვადაში ჩამოაყალიბოს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარუდგინოს ცენტრს;

ი) ცენტრისგან და დაწესებულებისაგან მიღებული უკუკავშირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე ჩამოაყალიბოს ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნა და წარუდგინოს ცენტრს;

კ) წარადგინოს დასკვნის შედეგები ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე და პასუხი გასცეს საბჭოს წევრთა შეკითხვებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

10. ექსპერტთა ჯგუფში თანათავმჯდომარის სტატუსით შესული საერთაშორისო ექსპერტი:

ა) ასრულებს ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ ფუნქციებს სამედიცინო მიმართულების ჭრილში და უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამედიცინო მიმართულების ავტორიზაციის სტანდარტებთან და მედიცინის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის შეფასებას;

ბ) ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს უთანხმებს, სამედიცინო მიმართულებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად საჭირო აქტივობებს და დღის წესრიგს;

გ) ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს აცნობს და აწვდის სამედიცინო მიმართულებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თითოეულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების შედეგებსა და დასკვნას.

11. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტისა და/ან საბოლოო დასკვნის ცენტრში წარმოდგენის ვადა განისაზღვრება ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და/ან დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 8[1]. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და წევრთა ფუნქციები

1. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობის ფორმირება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებით" დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები - სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი და სტუდენტი (გარდა, მასწავლებლის მომზადების და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შემთხვევისა), ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ საერთაშორისო ექსპერტები

(შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, როდესაც სააკრედიტაციო განაცხადით წარდგენილია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/ პროგრამები (გარდა მასწავლებლის მომზადების ან ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა) ან/და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა (როგორც ცალკე მდგომი, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში შემავალი), რომელიც განისაზღვრება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარედ. ასევე, იმ შემთხვევაში, როდესაც სააკრედიტაციო განაცხადით წარდგენილია ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელებაც იგეგმება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს დაწესებულებასთან/დაწესებულებებთან ერთობლივი თანამშრომლობით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფში შედის/შედიან განმახორციელებელი ქვეყნის/ქვეყნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საერთაშორისო ექსპერტი/ექსპერტები), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტის სტატუსის მქონე პირები, დამსაქმებლები, რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - ასევე შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს ან/და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები.

[2. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები – სხვა დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, საერთაშორისო ექსპერტი (გარდა ინდივიდუალური ფორმით წარმოდგენილი - ქართულ ენაში მომზადების, მასწავლებლის მომზადებისა და ვეტერინარის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამებისა) სტუდენტი, ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ დამსაქმებლები, რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში – ასევე შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს ან/და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები და სხვა შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირები. ***(ამოქმედდეს 2023 წლის პირველი იანვრიდან)***]

3. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი სტუდენტის ძირითადი პასუხისმგებლობაა სტუდენტის უფლებებთან, ინტერესებთან, სტუდენტურ სერვისებთან და სტუდენტის მხარდამჭერ მექანიზმებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და შეფასება.

4. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი დამსაქმებლის ძირითადი პასუხისმგებლობაა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და პოტენციურ დამსაქმებლებთან/ეკონომიკურ აგენტეთან თანამშრომლობის საკითხების, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების შესწავლა და შეფასება.

5. მონიტორინგის გზით, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, მონიტორინგის ტიპი და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესასრულებელი სამუშაო, ასევე ამ სამუშაოსათვის ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალური სპეციფიკის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის განაცხადის შეფასების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესასრულებელი სამუშაო, ასევე ამ სამუშაოსათვის ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალური სპეციფიკის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, ცენტრის დირექტორის ბრძანებით, ეკისრება ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეობა. იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფში არის საერთაშორისო ექსპერტი, ის განისაზღვრება ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარედ.

8. ექსპერტთა ჯგუფის თითოეული წევრის ფუნქციაა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის განაცხადის ადმინისტრაციული წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის განაცხადის შეფასების პირველ ეტაპზე, შეისწავლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია; აგრეთვე, მონიტორინგის ფარგლებში დასადგენი საკითხების შემოწმების მიზნით, გაეცნოს შესაბამის

მასალებს და დოკუმენტაციას;
ბ) დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, თითოეულ სტანდარტთან მიმართებით, სტანდარტების რუკის ფორმატში, ჩამოაყალიბოს შენიშვნები, მოსაზრებები და კითხვები, რომელთა გარკვევაც სურს ვიზიტის ფარგლებში და შევსებული სტანდარტების რუკა შეთანხმებულ ვადებში გაუგზავნოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს;
გ) შესწავლილი დოკუმენტაციის განხილვის მიზნით მონაწილეობა მიიღოს ვიზიტამდე დაგეგმილ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრაში;
დ) ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს ვიზიტის დღის წესრიგის შედგენაში;
ე) ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, შეისწავლოს ყველა საკითხი დასკვნის შესადგენად, მათ შორის, ჩაატაროს დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუირება, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია, მოახდინოს ვიზუალური დათვალიერება და განახორციელოს დღის წესრიგით გაუთვალისწინებელი აქტივობები; მოახდინოს თვითშეფასების ანგარიშში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის განაცხადში ასახული ინფორმაციის შესაბამისობის გადამოწმება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში რეალურად არსებულ მდგომარეობასთან და აკრედიტაციის სტანდარტებთან და ასევე შესაბამის დარგობრივ მახასიათებელთან მიმართებით;
ვ) ვიზიტის/დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ მონაწილეობა მიიღოს შეფასების შედეგების განხილვასა და შეჯამებაში;
ზ) მონაწილეობა მიიღოს დასკვნის პროექტისა და საბოლოო დასკვნის მომზადებაში;
თ) მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი საკითხის განხილვაში აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, რაც აისახება სხდომის ოქმში.
9. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ფუნქციაა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის განაცხადის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით:
ა) უხელმძღვანელოს საგანმანათლებლო პროგრამის/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის განაცხადის შეფასების პროცესს;
ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოკუმენტაციის შესწავლისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, უზრუნველყოს ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების გადანაწილება ექსპერტთა ჯგუფის წევრების კომპეტენციის გათვალისწინებით;
გ) მოახდინოს ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ წარმოდგენილი სტანდარტების რუკის შეჯამება და ამის გათვალისწინებით შეიმუშავოს ვიზიტის დღის წესრიგი/აცნობოს ცენტრს დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის საჭიროების შესახებ;
დ) ცენტრთან შეათანხმოს ვიზიტის დღის წესრიგი და ვიზიტამდე დაგეგმილ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრისას ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან დეტალურად განიხილოს ვიზიტის ფარგლებში განსახილველი და გამოსაკვლევი საკითხები;
ე) ვიზიტის ფარგლებში უხელმძღვანელოს ინტერვიუირების პროცესსა და შეხვედრებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან;
ვ) ვიზიტის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი საკითხის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, ვიზიტის მიმდინარეობა შეაჯამოს ექპერტთა ჯგუფის წევრებთან;
ზ) ვიზიტის ბოლოს გააკეთოს შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების პრეზენტაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების წინაშე;
თ) დადგენილ ვადაში ჩამოაყალიბოს ექსპერტთა დასკვნის პროექტი და წარუდგინოს ცენტრს;
ი) ცენტრისგან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დასკვნასთან დაკავშირებით მიღებული უკუკავშირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე ჩამოაყალიბოს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და წარუდგინოს ცენტრს;
კ) მოახდინოს დასკვნის შედეგების წარდგენა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე და პასუხი გასცეს საბჭოს წევრთა შეკითხვებს (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

10. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტის ფუნქციაა:
ა) საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შეფასება იმ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებთან მიმართებით, რომელთა დაცვა და შესრულებაც გამომდინარეობს „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით“;
ბ) მონაწილეობა მიიღოს დასკვნის პროექტისა და საბოლოო დასკვნის მომზადებაში და უზრუნველყოს დასკვნის პროექტის და საბოლოო დასკვნის ამავე წესის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მუხლი 9. ცენტრის თანამშრომლის მიერ ექსპერტთა საქმიანობის ეფექტიანად წარმართვა და შეფასების ერთიანი მიდგომების დაცვა
1. ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების ფარგლებში ეფექტიანად წარმართვისა და შეფასების ერთიანი მიდგომის დაცვის მიზნით, ცენტრი ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტზე მიავლენს ცენტრის თანამშრომელს.
2. ცენტრის თანამშრომელი:
ა) უზრუნველყოფს ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვასა და შეფასების ერთიანი მიდგომის დაცვას ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ყველა ეტაპზე;
ბ) ვიზიტის განმავლობაში უზრუნველყოფს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის/აკრედიტაციის სტანდარტებით გათვალისწინებული ყველა საკითხის შესწავლას, რისთვისაც საჭიროების შემთხვევაში ექსპერთა ჯგუფის თავმჯდომარეს/ჯგუფის წევრებს აწვდის ინფორმაციას გამორჩენილი ან/და დასაზუსტებელი საკითხების შესახებ;
გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში გ ა მ ო ვ ლ ე ნ ი ლ ი პროცედურული დარღვევის თაობაზე აცნობებს ცენტრს;
დ) საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკურ დახმარებას უწევს ექსპერტთა ჯგუფს.
3. ცენტრის თანამშრომელი არ მონაწილეობს შეფასებისა და დასკვნის შედგენის პროცესში.

მუხლი 10. დასკვნის შედგენა
1. ექსპერტთა ჯგუფი დოკუმენტების შესწავლისა და ვიზიტის ფარგლებში შეგროვილი ინფორმაციის და მონაცემების საფუძველზე, ადგენს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
2. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს:
ა) მკაფიო და ნათელი;
ბ) ენობრივად გამართული;
გ) არგუმენტირებული და მტკიცებულებებით გამყარებული;
დ) ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე მონაცემების ამსახველი.
4. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრში წარმოდგენილი დასკვნის პროექტი არ შეესაბამება ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს ან/და მისი შინაარსი წინააღმდეგობაში მოდის უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან, ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე ცენტრი უფლებამოსილია არ მიიღოს დოკუმენტი და დასკვნა შესაბამისი რეკომენდაციებით დაუბრუნოს ექსპერტთა ჯგუფს გადასამუშავებლად. აღნიშნულ შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ცენტრის რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია ჩაანაცვლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი და საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/ საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ხელახალი შეფასება.

5. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე უფლებამოსილია დასკვნის კონკრეტული ნაწილის შედგენა დააკისროს ექსპერტთა ჯგუფის კონკრეტულ წევრს. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნამ უნდა ასახოს მთლიანად ექსპერტთა ჯგუფის შეფასებები და რეკომენდაციები და ჯგუფის თითოეული წევრი უნდა იცნობდეს დასკვნას. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაზე პასუხისმგებელია ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე.
6. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, განსხვავებული აზრი დაერთვება ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მუხლი 11. ექსპერტთა საქმიანობის ანაზღაურება
ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესი განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

IV თავი
ექსპერტთა პროფესიული განვითარება და მათი მუშაობის შეფასება

მუხლი 12. ექსპერტთა პროფესიული განვითარება

1. ცენტრი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის სრულყოფილად წარმართვისა და შეფასების ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით იღებს პასუხისმგებლობას, უზრუნველყოს ექსპერტების პროფესიული განვითარება, კერძოდ, იგი:
ა) ატარებს ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს ექსპერტთა კორპუსის წევრებისთვის არსებული სტანდარტებისა და პროცედურების, პროცესების, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობისა და პერიოდული უკუკავშირით უზრუნველყოფის მიზნით;
ბ) უზრუნველყოფს ექსპერტებისთვის მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების მომზადებას;
გ) ორგანიზებას უწევს ექსპერტთა კორპუსთან პერიოდულ შეხვედრებს ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესის მიმდინარეობის ანალიზის, პრობლემების იდენტიფიცირებისა და არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით.
2. ცენტრი ხელს უწყობს ექსპერტთა ჩართვას სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებსა და უცხოური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების მიერ განხორციელებულ შეფასებებში.
3. ცენტრი ექსპერტთა კორპუსის წევრებს სთავაზობს ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების ჩატარებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ექსპერტთა კორპუსის სხვა წევრებისთვის.
4. საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს ექსპერტთა პერიოდული ატესტაცია. ექსპერტთა ატესტაცია ცხადდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
5. ექსპერტთა ატესტაციისას მიღებული უარყოფითი შეფასება შეიძლება გახდეს ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველი.
6. ექსპერტთა ატესტაციაში ექსპერტის მიერ არასაპატიო მიზეზით მონაწილეობის არ მიღება წარმოადგენს ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველს. ამასთან, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, ექსპერტი ვალდებულია ცენტრში წარმოადგინოს საპატიო მიზეზის არსებობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები და მასალები, ექსპერტთა ატესტაციაში მონაწილეობის ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში. ცენტრის მიერ ექსპერტთა ატესტაციაში ექსპერტის მონაწილეობის ვერ მიღების ფაქტის საპატიოდ ცნობის შემთხვევაში, ექსპერტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განსახორციელებელი აქტივობები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდულური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
7. ექსპერტი უფლებამოსილია ექსპერტთა ატესტაციის პროცესით გათვალისწინებულ ეტაპზე მიღებული უარყოფითი შეფასება წერილობითი ფორმით გაასაჩივროს ცენტრში, ექსპერტთა ატესტაციის საბოლოო შედეგებზე დაყრდნობით მისთვის ინდივიდუალური შედეგის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.
8. ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება

საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია, რომელიც განიხილავს კონკრეტული ატესტაციის ფარგლებში მიღებულ უარყოფით შეფასებასთან დაკავშირებულ საჩივრებს.
9. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან, რომელთაგან ერთ-ერთი, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, განისაზღვრება აღნიშნული კომისიის თავმჯდომარედ. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის საქმიანობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
10. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია თითოეულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი ცენტრში რეგისტრაციის მომენტიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.
11. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია, წარმოდგენილი საჩივრისა და კონკრეტული ატესტაციის ფარგლებში არსებული მასალების გათვალისწინებით, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) საჩივრის დაკმაყოფილებისა და ექსპერტისთვის დადებითი შეფასების მინიჭების თაობაზე;
ბ) უარყოფითი შეფასების ძალაში დატოვების თაობაზე.
12. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი ფორმით ეცნობება ექსპერტსა და ცენტრის დირექტორს.
13. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის მიერ ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ექსპერტისთვის ექსპერტთა ატესტაციის პროცესით გათვალისწინებულ ეტაპებთან დაკავშირებული შესაბამისი აქტივობები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდულური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
14. თუ ექსპერტს ატესტაციისას მიღებული უარყოფითი შეფასების ან ატესტაციაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის საფუძვლით უწყდება ექსპერტთა წევრობის სტატუსი და ამავდროულად, შეწყვეტის მომენტისთვის იგი ასრულებს ამ წესით გათვალისწინებულ ფუნქცია-მოვალეობებს, ასეთ შემთხვევაში მისი ექსპერტთა კორპუსის წევრობის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტში მიეთითება აღნიშნული აქტის ამოქმედების თარიღი, რაც დაკავშირებული უნდა იყოს ექსპერტის მიერ კონკრეტული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მისი ფუნქცია-მოვალეობების დასრულების მომენტთან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი უარს აცხადებს დაკისრებული ფუნქცია- მოვალეობის შესრულებაზე.

მუხლი 13. ექსპერტთა მუშაობის შეფასება
1. ექსპერტთა მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ცენტრი ახორციელებს მათი საქმიანობის შეფასებას ამ წესის შესაბამისად, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შეფასების კითხვარების მიხედვით.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აკრედიტაციის/ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შესაბამის შეფასების კითხვარს ავსებს აკრედიტაციის/ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდეგ, დასკვნის პროექტის გაცნობამდე.
3. აკრედიტაციის/ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე და წევრები ერთმანეთისა და ცენტრის საქმიანობის შესაფასებლად შესაბამის შეფასების კითხვარს ავსებენ საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის ან სხდომის დასრულების შემდგომ.
4. აკრედიტაციის/ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრები აკრედიტაციის/ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შესაბამის შეფასების კითხვარს ავსებენ საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის ან სხდომის დასრულების შემდგომ.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ცენტრის საქმიანობის შესაბამის შეფასების კითხვარს ავსებს აკრედიტაციის/ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის ან სხდომის დასრულების შემდგომ.
6. ცენტრის თანამშრომელი, რომელიც კოორდინირებას უწევდა შესაბამის საავტორიზაციო/სააკრედიტაციო საკითხის ადმინისტრაციულ წარმოებას, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შესაბამის შეფასების კითხვარს ავსებს საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის ან სხდომის დასრულების შემდგომ.

7. ექსპერტების საქმიანობის შეფასების კითხვარების ანალიზი ტარდება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში, კითხვარების ანალიზი შესაძლოა განხორციელდეს წელიწადში რამდენჯერმე ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე;
8. ექსპერტის საქმიანობის სისტემატური უარყოფითი შეფასება შეიძლება გახდეს კონკრეტული ექსპერტის ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველი.

V თავი
ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი

მუხლი 14. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეჩერება

1. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეჩერების საფუძველია:
ა) ექსპერტის მიერ ცენტრის არასაშტატო პოზიციის დაკავება არაუმეტეს 3 წლის ვადით, გარდა, ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნტით გათვალისწინებული შემთხვევისა;
ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს/სააპელაციო საბჭოს წევრად შერჩევა;
გ) პირადი განცხადება.
2. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეჩერების შესახებ გამოიცემა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ექსპერტის სტატუსის შეჩერების შესახებ ინფორმაცია აისახება ექსპერტთა კორპუსში.
4. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეჩერების შემთხვევაში ექსპერტი ვეღარ განახორციელებს ამ წესით გათვალისწინებულ საქმიანობას, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დასრულებამდე, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
5. ექსპერტს ექსპერტთა კორპუსის წევრობა შესაძლოა შეჩერებული ჰქონდეს არაუმეტეს 3 წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ, გამოიცემა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის თაობაზე.
6. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოება დადგა ექსპერტის მიერ ამ წესით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების პერიოდში, ექსპერტი უფლებამოსილია სრულყოფილად განახორციელოს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები, გარდა შესაბამის საბჭოს სხდომაზე განხილვაში მონაწილეობისა.
7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დასრულების შემთხვევაში, ექსპერტის განცხადების საფუძველზე გამოიცემა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ექსპერტთა კორპუსის წევრობის აღდგენის შესახებ, ექსპერტის სტატუსის აღდგენის შესახებ ინფორმაცია აისახება ექსპერტთა კორპუსში.

მუხლი 15. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტა

1. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:
ა) ექსპერტის ამ წესით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამობა;
ბ) ექსპერტის მიერ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა;
გ) ექსპერტის მიერ მისი ფუნქციების არაჯეროვანი შესრულება;
დ) ექსპერტის მიერ ამ წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა;
ე) ექსპერტის პირადი განცხადება;
ვ) ექსპერტის მიმართ, კანონიერ ძალაში შესული, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
ზ) სასამართლოს მიერ ექსპერტის ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობა;
თ) ექსპერტის გარდაცვალება;
ი) ამ წესის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა;

კ) ამ წესის შესაბამისი ნორმებით ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძვლად განსაზღვრული სხვა შემთხვევები.
2. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სისტემური ცვლილებების და/ან ექსპერტების ახალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის და/ან მათი საქმიანობის წესის არსებითი ცვლილების შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ექსპერტთა კორპუსის რეორგანიზაციის, მათ შორის, ექსპერტთა კორპუსის ატესტაციისა და ექსპერტთა კორპუსის ახალი შემადგენლობის ფორმირების შესახებ.

მუხლი 16. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტაზე წარმოების დაწყება
1. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტაზე ადმინისტრაციული წარმოება იწყება წერილობითი განცხადების საფუძველზე ან/და ცენტრის ინიციატივით, გარდა ამ წესის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
2. წერილობითი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;
გ) ექსპერტის სახელსა და გვარს;
დ) მოთხოვნას;
ე) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;
ვ) განცხადებაზე თანდართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.
3. ამ წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შესახებ ცენტრში წარმოდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას.
4. ამ წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ექსპერტის მიმართ შესაძლოა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.
5. ამ წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ე“, „ვ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ექსპერტს უწყდება ექსპერტთა კორპუსის წევრობა.
6. ცენტრში შემოსული ანონიმური წერილები და შეტყობინებები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ექსპერტის კორპუსის წევრობის შეწყვეტის საკითხის განხილვას.
7. ექსპერტთა კორპუსის წევრი სტუდენტი ინარჩუნებს ექსპერტთა კორპუსის წევრის სტატუსს და უფლებამოსილია განახორციელოს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან ან სწავლის დასრულებიდან გამომდინარე სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 1 წლის განმავლობაში.
8. იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა კორპუსის წევრი სტუდენტი არ აღიდგენს სტატუსს ან ხელახლა არ მოიპოვებს მას ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული გარემოების დადგომიდან 1 წლის განმავლობაში, მას შეუწყდება ექსპერტთა კორპუსის წევრის სტატუსი.

მუხლი 17. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტაზე წარმოების ჩატარება
1. ექსპერტის მიმართ ამ წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ქმნის არანაკლებ 3 კაციან ეთიკის კომისიას (შემდგომში - კომისია). კომისია ცენტრის დირექტორს სრული შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციას.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომისია რეკომენდაციას ამზადებს ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.
3. ამ წესის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ეთიკის კომისიის

ფუნქციონირებისას შენარჩუნებული უნდა იყოს ცენტრის თანამშრომლის ანონიმურობა და კონფიდენციალურობა.

4.ექსპერტის მიმართ ამ წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ან/და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, არსებული დოკუმენტაციის, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ცენტრის დირექტორს ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებულ რეკომენდაციას წარუდგენს ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

5. ამ მუხლის მე-2 ან მე-4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის, ჩადენილი გადაცდომის შინაარსის, სიმძიმისა და დამდგარი შედეგის საფუძველზე, ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, ცენტრის დირექტორი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ექსპერტის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ექსპერტთა კორპუსიდან ამოღების შესახებ;

ბ) ექსპერტის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია ექსპერტს მისცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითება წერილობითი ფორმით, შემდგომში აღნიშნული მითითების გათვალისწინების/შესრულების ცენტრის დირექტორის მიერ განსაზღვრული მექანიზმითა და ვადაში შემოწმების უფლებით. ექსპერტის მიერ აღნიშნული მითითების შესაბამის ვადაში არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ექსპერტისათვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ექსპერტთა კორპუსიდან ამოღების შესახებ.

7. ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილება 10 კალენდარული დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს ექსპერტს პირადად, ხოლო მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, უნდა გაეგზავნოს მას ფოსტით.

8. ამ წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ ან/და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების საფუძველზე, ექსპერტისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის განმავლობაში პირი არ არის უფლებამოსილი ხელახლა გახდეს ექსპერტთა კორპუსის წევრი.